სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

29 / მარტი / 2024 წ.

KA080130093475224

№ **1020**

განკარგულება

ზოგიერთი ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საჭიროების თაობაზე

2024 წლის 29 მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც NAT240005088, NAT240004180, NAT240005772, NAT240005841, NAT240005771, NAT240004927, NAT240004879, NAT240004839, NAT240005150, NAT240006083, NAT240005842, NAT240005844, NAT240005629, NAT240005631, NAT240005624, NAT240005627, NAT240005623, NAT240005956, NAT240005626, NAT240005832, NAT240005806, NAT240005743, NAT240005823, NAT240005810, NAT240005831, NAT240006104, NAT240006157, NAT240006128, NAT240006175, NAT240006125 და NAT240006139 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადებების წარდგენა. ამავდროულად, ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“, შესაბამისად, საჯარო გახდა იმ მომენტში არსებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

იმავე ხარვეზის გამო SPA240000411, SPA240000425, SPA240000435, SPA240000458, SPA240000456, SPA240000468 და SPA240000467 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადების წარდგენა და ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“. შესაბამისად, საჯარო გახდა პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტმა (NAT240005088), სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ (NAT240004180), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (NAT240005772, NAT240005841, NAT240005771, NAT240005842, NAT240005844), საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT240004927), ააიპ „ხელვაჩაურის მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ“ (NAT240004879), ააიპ „აგროსერვის ცენტრმა“ (NAT240004839), სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ“ (NAT240005150), შპს „ბათუმის რესპუბლიკურმა კლინიკურმა საავადმყოფომ“ (NAT240006083), საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (SPA240000411, SPA240000425 და SPA240000458), ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT240005629, NAT240005631, NAT240005624, NAT240005627, NAT240005623), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (NAT240005956), შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონულმა ცენტრმა“ (NAT240005626), ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT240005832), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT240005806), ააიპ „მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებამ“

(კულტურის ცენტრი) (NAT240005743), დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT240005823) სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტომ“ (NAT240005810), ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT240005831), თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT240006104), სს „საჩხერის რაიონულმა საავადმყოფო-პოლიკლინიკურმა გაერთიანებამ“ (SPA240000435), შპს „სახელმწიფო კვებითმა უზრუნველყოფამ“ (NAT240006157), ააიპ „გარდაბანსერვისმა“ (SPA240000456), სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ“ (SPA240000468 და SPA240000467), შპს „გარდაბნის თბოსადგურმა“ (NAT240006128), სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა“ (NAT240006175), ააიპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსურმა სპორტულმა ცენტრმა“ (NAT240006125) და ააიპ „ყვარელწყალმომსახურებამ“ (NAT240006139) დადგენილი წესით, შეწყვიტონ ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერები.

2. წინამდებარე განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე